საქართველო

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი"

GEORGIA

JOINT-STOCK VENTURE ,,BAMBIS NARTI"

---

თბილისი, 0180, ვახტანგ ნინუას ქ. №3, ტელ: (995 32) 693752 — 3 Vakhtang Ninua str.,Tbilisi 0180, Tel.: (995 32) 693752

ა/ა GE82BG0000000482087200, ბანკის კოდი: BAGAGE22 — Acc.GE82BG0000000482087200, B/c: BAGAGE22

სს„საქართველოს ბანკი" ც.ფ. — ,,Bank of Georgia" centr. branch

№ 5 07 მაისი 2013წ

**საქართველოს ეროვნულ ბანკს**

**საქართველოს საფონდო ბირჟას**

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი" გიდგენთ 2012 წლის საფინანსო ანგარიშს „ 21 " ფურცელზე.

ს/ს „ბამბის ნართი"-ს დირექტორი: /გ.ქართველიშვილი/

**სააქციო საზოგადოება “ბამბის ნართი”**

2012 წლის საფინანსო ანგარიშგება

სააქციო საზოგადოება "ზამბის ნართი"

2012 წლის ანგარიში

# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვერდი


1. ინფორმაცია ემიტენტის, მისი საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების მნიშვნელოვან წილს

**მუხლი** 1. საწარმოს საქმიანობა------------------------------------------------------------4
**მუხლი** 2. მმართველობითი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა--------------------------4-5
**მუხლი** 3. საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები (წილი)----------------------------------------------------------------------------------------------6
**მუხლი** 4. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი----------------------------6
**მუხლი** 5. მმართველი ორგანოს წევრების და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირთა მონაცემები----------------------------------------------------------6-7
**მუხლი** 6. პირები, რომლებიც საერთო ხმათა 5%-ს და მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების მნიშვნელოვან ნაწილს------------------------------------------7
**მუხლი** 7. ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორის მიერ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეობის შესახებ-------------8

2. **ფინანსური ანგარიშგება**

**ბალანსი**-------------------------------------------------------------------------------------------9
**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**-------------------------------------------------10
**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**---------------------------------------11
**კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება**----------------------------------------------------12
**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**-------------13-20

- შენიშვნა 1. ზოგადი ასპექტები
- შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების შევსებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები
- შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებების მოძრაობა
- შენიშვნა 4. წინასწარ გადახდილი თანხა
- შენიშვნა 5. ფული და ფულადი ექვივალენტები
- შენიშვნა 6. საგადასახადო ვალდებულებები
- შენიშვნა 7. ამონაგები
- შენიშვნა 8. სხვა შემოსავლები
- შენიშვნა 9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი
- შენიშვნა 10. შეძენილი მომსახურების ხარჯი
- შენიშვნა 11. საგადასახადო ხარჯი
- შენიშვნა 12. სხვა საოპერაციო ხარჯი
- შენიშვნა 13. ფინანსური დანახარჯები
- შენიშვნა 14. მოგების გადასახადის ხარჯი

## მუხლი I. საწარმოს საქმიანობა

სააქციო საზოგადოება "ბამბის ნართი" (შემდგომში "საზოგადოება") დაფუძნდა მრეწველობის სამინისტროს თბილისის სართავი ფაბრიკის ბაზაზე ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მთავარი კოლეგიის მიერ 1994 წლის 26 დეკემბერს, ოქმი №19.21.321-ით.

დარეგისტრირება მოხდა 1996 წლის 25 ოქტომბერს ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ №1-5-22 დადგენილებით.

საწარმოს საქმიანობის ძირითადი საგანი იყო: სახალხო მოხმარების საქონლის და საწარმოო ტექნიკური დამუშავების პროდუქციის წარმოება, შეძენა და რეალიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო ბაზარზე;

- სხვა საწარმოს შერწყმა ან შეძენა არ მომხდარა;
- ლიკვიდაციასთან დაკავშირებით არავითარი პროცესი არ წარმართულა;
- ამჟამად საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო მომსახურება;
- ახალი პროდუქციის განვითარება, ნედლეულის ხელმისაწვდომობა ან საქმიანობის სეზონური ხასიათი საწარმოს არ გამოუკვლევია;
- ლიცენზიები ან პატენტები საწარმოს არ გააჩნია;
- საანგარიშო პერიოდში კლიენტებზე საწარმოს დამოკიდებულება შეადგენს 100%-ს;
- კვლევა–განვითარებაზე გაწეული მნიშვნელოვანი ხარჯები საწარმოს არ ჰქონია.

## მუხლი II. მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

ა) საწარმოში 1996 წლის დეკემბრიდან შეჩერებულია პროფილით მუშაობა;

ბ) მოვლენები, რომელმაც დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონია შემოსავალზე:

- 28.05.2012 წელს სს „ბამბის ნართის" მიერ გასხვისებული იქნა ვ.ნინუას №3 მდებარე ხუთსართულიანი შენობაში სს „ბამბის ნართის" კუთვნილი 11 (თერთმეტი) ოთახი (სულ 188.75 კვ.მ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროზე", შემდგომში იქ მცხოვრებ დევნილთათვის მათ მერ დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემის პირობით. სულ ნასყიდობის საგანი გაიყიდა 48 876 ლარად (დღგ-ს ჩათვლით);
- შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 14.06.2012 წლის შეტყობინება №21-14/43 საფუძველზე სს ბამბის ნართში" ჩატარდა ალტერნატიული საგადასახადო შემოწმება. საგადასახადო შემოწმებამ მოიცვა 01.01.2006 წ-დან 01.06.2012 განვლილი პერიოდი. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 28.09.2012 წლის ბარძანება №19480 საფუძველზე სს ბამბის ნართს" ალტერნატიული საგადასახადო შემოწმებით დამატებით დაერიცხა 15255 ლარი. მ.შ: ძირითადი გადასახადი 15255 ლარი (მ.შ: მოგების გადასახადი +6774 ლ, დღგ -321ლ, ქონების გადასახადი +9190 ლ, საშემოსავლო გადასახადი -52ლ, სოციალური გადასახადი-336ლ), ჯარიმა 0 ლარი. 2012 წელში საზოგადოების მერ სრულად იქნა დაფარული საგადასახადო შემოწმებით დამატებით დარიცხული თანხები.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის 2012 წლის 11 ივნისის №2/7448-12 განჩინების საფუძველზე სს „ბამბის ნართის" დებიტორ შპს „დარიალი 2007"-ზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება. 31.07.2012 წლის მდგომარეობით ომხრივად აღირებულმა (შედარების აქტი) საიჯარო მომსახურების შედეგად დავალიანებამ შეადგინა 9100 ლარი. აღნიშნული ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს (სარეგისტრაციო № 2-16569) და მოთხოვნა (დებიტორული დავალიანება) შეტანილი იქნა გაკოტრების საქმის წარმოებაში. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებას ამოიღებს 2013 წელში (სავარაუდოთ სასამართლო პროცესი უნდა დასრულდეს 2013 წელს);
- სს „ბამბის ნართ"-ს 01.01.2012 მდგომარეობით ერიცხებოდა საეჭვო (უიმედო) დებოტორული დავალიანებები თანხით 131634.47 ლარი. მ.შ: სს„ კოლხურ აბრეშუმზე" რიცხული საეჭვო დებიტორული დავალიანება თანხით 105677.22 ლარი, აღიარებულია 2004 წელს სასამართლოს მიერ და დღემდე მიმდინარეობს გაკოტრების საქმე, ხოლო სხვა დანარჩენი საეჭვო დებიტორული დავალიანებები ექვემდებარება ჩამოწერას, სულ თანხით 25957.25 ლ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ხოლო ამავე კოდექსის 129-ე 1-ლი ნაწილის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთთან დაკავშირებით სახელშეკრულებო მოთხოვნებისა-ექვს წელს. სს „ბამბის ნართი"-ს დაკვეთით ზემოაღნიშნული უიმედო ვალების (საეჭვო დებიტორული დავალინებები) დებიტორული დავალიანების იძულების წესით ამოღების თაობაზე მოთხოვნის დაყენების მიზანშეწონილობა შეისწავლა იურიდიულმა კომპანია „მედიატორი-ლ"-მა (ს/ნ 205274674 ). იურიდიულმა კომპანია „ მედიატორი-ლ"-ის (ს/ნ 205274674 ) მიერ 02.07.2012 წელს მომზადებული „სამართლებლივი დასკვნები"-ს საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნის წარმოშობიდან დღემდე გასულია სამ წელზე მეტი და შესაბამისად გასულია ამ მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადა, ამასთან არ არსებოს დებოტორთა ნება ვადაგასული დავალიანების დაფარვაზე, მიიჩნიეს, რომ ასეთ პირობებში დებიტორული დავალიანების იძულების წესით ამოღების თაობაზე მოთხოვნის დაყენება მიზანშეწონილი არ არის.

  ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2012 წელს ჩამოიწერა სს „ბამბის ნართი"-ზე რიცხული საეჭვო დებიტორული დავალინებები, სულ თანხით 25957.25 ლ.

გ) მმართველ ორგანოში არანაირი ცვლილებები არ მომხდარა;

დ) წარმოების დახურვა, საქონლის წარმოების ან მომსახურეობის გაწევის შეჩერება არ მომხდარა;
ე) საწარმოო ან მნიშვნელოვანი სასამსახურო ინვენტარის, მანქანა–დანადგარების, მოწყობილობათა და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენა არ მომხდარა;

ვ) არსებითი ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგში არ მომხდარა;

ზ) სამართლებრივი აქტი, რაც არსებით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, არ მომხდარა;

თ) საქართველოს ბანკიდან 2011 წელს აღებული გრძელვადიანი 270000 ლარის სესხი იფარება სააქციო საზოგადოების მიერ ბანკის მიერ დადგენილი გრაფიკის დაცვით. 01.01.2013 მდგომარეობით სესხის ძირი თანხა შეადგენს 232953 ლარს;

ი) საწარმომ განახორციელა სააღრიცხო ცვლილებები, კერძოდ გამოვლენილი შეცდიომების კორექტირება (საწარმოში ჩატარებული საგადასახადო აუდიტისა და საწარმოს მიერ აღმოჩენილი შეცდომების საფუძველზე). *წინა პერიოდის შეცდომების შესწორება განხორციელდა საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში მათი გათვალისწინებით.*

**მუხლი III. საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები (წილი)**

ს/ს “ბამბის ნართი” 28.10.1998 წლიდან არის პარტნიორი შ.პ.ს. “წარაფი-98”-ის(ს/ნ 404920001) და მისი წილი შეადგენს 9.8%-ს-თანხით 26 400 ლარს.

**მუხლი IV. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი**

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა შ.პ.ს. “ალექსანდრე”–მ. ფირმის ს.კ. 204462447 , მისამართი: ქ. თბილისის, ღამბაშიძის № 8; საზ. პრეზიდენტი: ვიაჩესლავ ბერიძე.

**მუხლი V. მმართველი ორგანოს წევრები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების მონაცემები**

სააქციო საზოგადოება “ბამბის ნართი”-ს სამეთვალყურეო საბჭო:

- თავჯდომარე – პაპუნაშვილი დავითი.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეა 26.04.2002-დან (ბოლო არჩევნები შედგა 14.05.2009წ) ინჟინერ ტექნოლოგი, სხვა ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ყოფილა და არც ამჟამად არის. სხვა ორგანიზაციის აქციონერი არ არის; დაკისრებული არ ჰქონია სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

- საბჭოს წევრი – მარშანია ზურაბი

სამეთვალყურეო საბჭოს თანჯდომარის მოადგილე 02.06.2010 წლიდან, საზოგადოების აქციონერი; სხვა ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ყოფილა და არც ამჟამად არის. სხვა ორგანიზაციის აქციონერი არ არის; დაკისრებული არ ჰქონია სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

- საბჭოს წევრი - თამაზ ახვლედიანი

საბჭოს წევრად არჩეული იქნა აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე 02.06.2010 წ. არის საზოგადოების აქციონერი; სხვა საწარმოს აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს

წევრი არ არის. დაკისრებული არ ჰქონია სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

- ❖ დირექტორი – ქართველიშვილი გიორგი

დირექტორად დანიშნულია 02.06.2010 წლიდან, საზოგადოების აქციონერი, სხვა საწარმოს აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის. დაკისრებული არ ჰქონია სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

**მუხლი VI. პირები რომლებიც საერთო ხმათა 5%-ს ან მეტს ფლობენ, ან აკონტროლებენ ხმების მნიშვნელოვან ნაწილს.**

| ფასიანი ქაღალდების კლასი | ბენეფიციური მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების რ-ბა და ღ-ბა | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასის პროცენტულობა |
|---|---|---|---|
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | პაპუნაშვილი დავითი, არაყიშვილის I ჩიხი,№7 | 90360 ცალი აქცია 90360 აშშ დოლარი | 12.68138 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | სმირნიხი რუფინა, სამშვილდის ქ.9 | 90259 ცალი აქცია 90259 აშშ დოლარი | 12.66720 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ღლონტი დავითი, ონიაშვილის ქ. №91, ბ.14 | 90253 ცალი აქცია 90253 აშშ დოლარი | 12.66636 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ჩომახაშვილი ლიანა, ერისთავის ქ.№ 6 | 90253 ცალი აქცია 90253 აშშ დოლარი | 12.66636 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ახვლედიანი თამაზი, ქიქოძის ქ №15 | 90253 ცალი აქცია 90253 აშშ დოლარი | 12.66636 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ჯინჭარაძე ლუიზა, დ/დიღომი, IIIმ/რკ.29 ,ბ57 | 90252 ცალი აქცია 90252 აშშ დოლარი | 12.66622 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ყურაშვილი მურმანი, ვარკეთილი-3, მე-2ე მ/რ, კორპ.30, ბინა38 | 41082 ცალი აქცია 41082 აშშ დოლარი | 5.76556 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | მარშანია ზურაბი, წერეთლის გამზ. №91, ბ 14 | 37184 ცალი აქცია 37184 აშშ დოლარი | 5.21851 |
| | | | |
| | | | |
| | | | |

**მუხლი VII. ინფორომაცია საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორის მიერ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეობის შესახებ**

| ფასიანი ქაღალდების კლასი | ბენეფიციური მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი | საკუთრებაში არსებული თანხა და მესაკუთრეობის სახე ( 1 აქცია= 1 აშშ დოლარს) | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასის პროცენტულობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | პაპუნაშვილი დავითი, არაყიშვილის Iჩიხი,№7 | 93060 ცალი აქცია ბენეფიციური მესაკუთრე | 12.68138 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ახვლედიანი თამაზი ქიქოძის ქ №15 | 90253 ცალი აქცია ბენეფიციური მესაკუთრე | 12.66636 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | მარშანია ზურაბი, წერეთლის გამზ. №91, ბ 14 | 37184 ცალი აქცია ბენეფიციური მესაკუთრე | 5.21851 |
| ჩვეულებრივი სახელობითი აქციები | ქართველიშვილი გიორგი, საზოგადოების დირექტორი, დ/დიღომი, IIIმ/რ,კ.29,ბ. 57 | 1213 ცალი აქცია ბენეფიციური მესაკუთრე | 0.17024 |

**აქციები**

| | |
|---|---|
| რეგისტრაციის ნომერი და თარიღი | № 1/5-22; 25/10/1996 |
| გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რ-ბა | 712541 ცალი |
| განთავსებული ფასიანი ქაღალდების რ-ბა | 712541 ცალი |
| აქციების კლასი | ჩვეულებრივი სახელობითი აქცია |
| 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება | 1 აშშ დოლარი |
| | |

დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები წლიურ ანგარიშს თან ერთვის:

1. ფინანსური ანგარიშგება
2. აუდიტორული დასკვნა

***ხელმოწერები:***

ს/ს "ზამბის ნართი"-ს სამეთვალყურეო
საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

ს/ს "ზამბის ნართი"ს დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

სს,,ბამბის ნართი"

ბალანსი

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში- ლარში)

| აქტივები | შენიშვნა | ს/ვ 31.12.2012 | ს/ვ 31.12.2011 |
|---|---|---|---|
| ***გრძელვადიანი აქტივები*** | | | |
| *ძირითადი საშუალებები* | 3 | 750860 | 784242 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები(მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში) | | 26400 | 26400 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | | 170 | 1181 |
| *სულ გრძელვადიანი აქტივები* | | **777431** | **811822** |
| ***მიმდინარე აქტივები*** | | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | | 800 | |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 4 | 6408 | 5018 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | | 489 | 369 |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | | 30942 | 13966 |
| ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები | | 105680 | 130481 |
| ფული და ფულადი ექვივალენტები | 5 | 9013 | 5985 |
| *სულ მიმდინარე აქტივები* | | **153332** | **155820** |
| სულ აქტივები | | **930763** | **967642** |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 926304 | 926304 |
| დაუფარავი ზარალი(აკუმულირებული) | | -236232 | -235412 |
| ***სულ კაპიტალი*** | | **690072** | **690892** |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | | 232953 | 259793 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **232953** | **259793** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | | 684 | 358 |
| მიღებული ავანსები | | | 200 |
| გადასახდელი ხელფასები | | 992 | 737 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 6 | 6063 | 15662 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **7738** | **16957** |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | **930763** | **967642** |

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

სს,,ბამბის ნართი"

**მოგება-ზარალის ანგარიშგება**

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში- ლარში)

| | შენიშვნა № | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|---|
| *ამონაგები* | *7* | 164922 | 143198 |
| სხვა შემოსავლები | *8* | 33744 | 11959 |
| ცვლილებები მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში | | 120 | 192 |
| შესრულებული კაპიტალიზირებული სამუშაო | | 0 | 15168 |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენა | | -285 | -12437 |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი | *9* | -54025 | -62611 |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | | -26515 | -27979 |
| შეძენილი მომსახურების ხარჯი | *10* | -25121 | -19711 |
| საგადასახადო ხარჯი | *11* | -28691 | -31652 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | *12* | -28662 | -8149 |
| **მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან** | | 35488 | **7977** |
| ფინანსური დანახარჯები | *13* | -31494 | -14807 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | 3994 | **-6830** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | *14* | -4814 | 618 |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება** | | -820 | **-6213** |
| შემოსავალი ერთ აქციაზე | | -0.001 | -0.01 |

სამეთვალყურეო საბჭოს
თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

სს,,ბამბის ნართი"

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში- ლარში)

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| *I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან* | | |
| *მიღებული ფულადი სახსრები* | | |
| საიჯარო და სხვა მომსახურებიდან მიღებული ფული | 176279 | 180499 |
| მიღებული ავანსები | | 200 |
| პერსონალის შემონატანი | | 31 |
| მიღებული პროცენტი | | 591 |
| *სულ საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადი* | 176279 | 181321 |
| *გაცემული(გასული) ფული* | | |
| *მომწოდებლებზე (საქონელი, მომსახ-ბა) გაცემული ფულადი სახსრები* | 27886 | 35505 |
| თამანშრომლებზე გაცემული ხელფასები | 35734 | 34881 |
| თანამშ-ზე გაცემული მატერიალური დახმარება | | 1090 |
| ფ.პ. ერთჯერადი ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებაზე | 880 | 6480 |
| ყოფილი მუშებზე დასახიჩრების ზიანის ანაზღაურება | 7785 | 8839 |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა განაცემები | 119 | 1997 |
| ქველმოქმედება | 800 | 1000 |
| პერსონალის შემონატანის დაფარვა | 30 | |
| საბიუჯეტო გადასახადები (გარდა მოგებისა) | 86108 | 67486 |
| მოგების გადასახადი | 3620 | 165 |
| სესხის პროცენტის დაფარვა | 31494 | 14807 |
| *სულ საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები* | 194456 | 172250 |
| *წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან* | -18177 | 9071 |
| *II.ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან* | | |
| რეალიზირებული ძირ.საშუალებები | 48945 | 14870 |
| შეძენილი ძირითადი საშუალებები | -900 | -286761 |
| *წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან* | 48045 | -271891 |
| *III. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმანობიდან* | | |
| გრძელვადიანი სესხის აღება | | 270000 |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის დაფარვა | -26840 | -10207 |
| *წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმანობიდან* | -26840 | 259793 |
| *ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა მატება/კლება* | *3028* | *(3027)* |
| *ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში* | 5985 | 9012 |
| *ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს* | 9013 | 5985 |

სამეთვალყურეო
საბჭოს თავჯდომარე: /დ.პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გ.ქართველიშვილი/

სს,,ბამბის ნართი"

## კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში- ლარში)

| | საწესდებო კაპიტალი(სააქციო) | საემისიო შემოსავლები | გადაფასების რეზერვი | დაგროვილი მოგება/ზარალი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ნაშთი 01.01.11 | 926304 | 0 | 0 | -229199 | 697105 |
| საანგარიშო პერიოდის მოგება(მოგების გადასახდის გამოკლებით) | | | | -6213 | -6213 |
| ***ნაშთი 01.01.12*** | ***926304*** | ***0*** | ***0*** | ***-235412*** | **690892** |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი(მოგების გადასახდის გამოკლებით) | | | | *-820* | -820 |
| ***ნაშთი 31.12.12*** | ***926304*** | ***0*** | ***0*** | ***-236232*** | **690072** |

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

**ს/ს ”ბამბის ნართი”**
**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**
(თანხა მოცეემულია ეროვნულ ლარებში)

---

**შენიშვნა 1. ზოგადი ასპექტები**

სს "ბამბის ნართი"-ს ძირითად საქმიანობას დღეისათვის წარმოადგენს საიჯარო და სხვა მომსახურეობა.
სს "ბამბის ნართი"-ს მფლობელები არიან: ყოფილი სართავი ფაბრიკის თანამშრომლები; დანარჩენი ფიზიკური პირები.

**შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები**

❖ **წარდგენის საფუძვლები**

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზოგადოება თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

❖ **ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი**

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად და უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

❖ **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოიცავს: მიწას, შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებს, საოფისე ინვენტარს და მწვანე ნარგავებს. ძირითადი საშუალებები აღიარებულია შეძენის ღირებულებისა და დაგროვილ ამორტიზაციას შორის სხვაობით.
ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ ექსპლუატაციაში შესვლის თარიღით, დადგენილი მეთოდის შემცირებული ნაშთის (დაჩქარებული ანუ დეგრესიული) მიხედვით (დადგენილი მყარი განაკვეთის გამრავლებით ძირითადი საშუალების ნარჩენ ღირებულებაზე):
შენობა-ნაგებობები – 5% - 20 წელი;
მანქანა- დანადგარები – 8% - 12 წელი;
ინვენტარი და მოწყობილობა-20%-5 წელი;
ოფისის აღწურვილობა – 20% - 5 წელი;
მიწა და მწვანე ნარგავები – ცვეთის პროცენტი არ ერიცხება;
დანახარჯები ძირითად საშუალებების მოვლა-შენახვასა და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითად საშუალებების ღირებულება, მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებს.
საკუთარი სახსრებით შექმნილი ძირითადი საშუალებების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებას და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს,

რომელიც არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანასთან, მის დანიშნულებისამებ გამოყენების მიზნით.

ძირითადი საშუალებების გასვლის დროს მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აისახება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

❖ **მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა წარმოებს მუდმივი მეთოდით სალდირებული წესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

❖ **მოთხოვნები და წინასწარი გადახდები**

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებებით.

❖ **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალნები მოიცავს ნაღდ ეროვნულ ვალუტას სალაროში და საბანკო ანგარიშზე.

❖ **ვალდებულებები**

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში.

სესხი აღიარებულია კრედიტის ძირითადი თანხით. ყველა დამატებითი გადახდა (პროცენტი, საკომისიო) მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშს.

❖ **შემოსავლები**

რეალიზაციიდან შემოსავლების მაჩვენებელი წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან/საქონლის მიწოდებიდან/ მიღებულ და მისაღებ თანხებს, დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალები მოგება-ზარალის ანგარიშებს მიეკუთვნება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მომსახურება/საქონლის მიწოდება(რისკების გადაცემა), თანახმად რეალიზაციის პრინციპისა.

❖ **ხარჯები**

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები და ასახულია შესაბამისობის პრინციპის მიხედვით.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

სს „ბამბის ნართი"

**ძირითადი საშუალებების მოძრაობა (01.01.11-01.01.13)**

(თანხები მოცემულია ეროვნულ ლარში)

| დასახელება | მიწა | შენობა-ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | ინვენტარი და მოწყობილობა | ოფისის აღჭურვილობა | მწვანე ნარგავები | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძ/საშ. საბალანსო ღირებულება | | | | | | | |
| ძ/საშ. საბალანსო ღირებულების ნაშთი 01.01.2011 მდგომარებით | 21001 | 938939 | 225635 | 0 | 0 | 13158 | 1198732 |
| 2011 მატება(დამატებული ძირითადი საშუალებები.მ.შ:კაპიტალიზირებული ხარჯები) | 238810 | 57708 | 3390 | 0 | 1411 | | 301318 |
| 2011 კლება(გასული ძირითადი საშუალებები ს. ღირ. მ.შ: ლიკვიდირებული) | 21 | 4482 | | 0 | | | 4503 |
| ძ/საშ. საბალანსო ღირებულების ნაშთი 01.01.2012 მდგომარებით | 259790 | 992164 | 229025 | 0 | 1411 | 13158 | 1495548 |
| 2012 მატება(დამატებული ძირითადი საშუალებები. მ.შ:კაპიტალიზირებული ხარჯები) | | | | 885 | | | 885 |
| 2012 კლება(გასული ძირითადი საშუალებები ს. ღ. მ.შ: ლიკვიდირებული) | | 11133 | | | | | 11133 |
| ძ/საშ. საბალანსო ღირებულების ნაშთი 01.01.13 მდგომარებით | 259790 | 981032 | 229025 | 885 | 1411 | 13158 | 1485300 |
| ძ/საშ. ჯამური ცვეთა(მ.შ: ცვეთა საანგარიშო პერიოდების) | | | | | | | |
| დარიცხული(ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 01.01.2011 მდგომარეობით | 0 | 492188 | 191880 | 0 | 0 | 0 | 684068 |
| 2011 დარიცხული ცვეთა | 0 | 24319 | 3378 | 0 | 282 | | 27979 |
| 2011 გასული ძირითადი საშუ. დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა(ამცირებს ჯამურ ცვეთას) | | 741 | | 0 | | | 741 |
| დარიცხული(ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 01.01.2012 მდგომარეობით | 0 | 515766 | 195258 | 0 | 282 | 0 | 711306 |
| 2012 დარიცხული ცვეთა | 0 | 23587 | 2701 | 1 | 226 | 0 | 26515 |
| 2012 გასული ძირ. საშუ-ის დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა(ამცირებს ჯამურ ცვეთას) | | 3382 | | | | | 3382 |
| დარიცხული ცვეთა 01.01.13 მდგომარეობით(ჯამური-დაგროვილი) | 0 | 535971 | 197960 | 1 | 508 | 0 | 734439 |
| ძ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება | | | | | | | |
| ძ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 01.01.11 მდგომარეობით | 21001 | 446751 | 33755 | 0 | 0 | 13158 | 514665 |
| ძ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 01.01.12 მდგომარეობით | 259790 | 476399 | 33766 | 0 | 1128 | 13158 | 784242 |
| ძ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 01.01.13 მდგომარეობით | 259790 | 445061 | 31065 | 883 | 903 | 13158 | 750860 |

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

სს „ბამბის ნართი”

**შენიშვნა 4.** წინასწარ გადახდილი გადასახადები

| | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი | 53 | 2230 |
| ქონების გადასახადი | 3569 | |
| მიწის გადასახადი | 1065 | |
| სოც.გადასახადი | | 566 |
| სხვა გაუქმებული გადასახადები | 1722 | 1722 |
| ადმინისტრაციული ჯარიმა | | 500 |
| სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები | **6408** | **5018** |

**შენიშვნა 5.** ფული და ფულადი ექვივალენტები

| | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| ეროვნული ვალუტა სალაროში | 3 | 2 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 9010 | 5983 |
| სულ ფული და ფულადი ექვივალენტები | **9013** | **5985** |

**შენიშვნა 6. საგადასახადო ვალდებულებები**

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

| | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| ქონების გადასახდი | | 10056 |
| მოგების გადასახდი | 3800 | 3405 |
| მიწის გადასახდი | | 89 |
| დღგ | 2263 | 2111 |
| სულ საგადასახადო ვალდებულება | **6063** | **15662** |

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

**შენიშვნა 7. ამონაგები**

მომსახურების (საქონლი, სამუშაოები) რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

***ამონაგები***

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| საიჯარო და სხვა მომსახურებიდან(ელ.ქვესადგური) | 164922 | 143198 |

**შენიშვნა 8. სხვა შემოსავლები**

სხვა შემოსავლებში გაერთიანებული არასოპერაციო შემოსავლები, რომლებიც საწარმოს არა ძირითად საქმიანობიდან იქნა შემოსული.

**სხვა შემოსავლები**

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| *გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული მოგება* | 33738 | 11957 |
| *სხვა არასაოპერაციო შემოსავლები* | 6 | 1.87 |
| **სულ სხვა შემოსავლები** | **33744** | **11959** |

**შენიშვნა 9. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯები**

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯებში გაერთიანებულის შემდეგი განაცემები:

- მუდმივ სამუშაოზე (სრული სამუშაო განაკვეთით) ხელშეკრულებით აყვანილ პირთა დარიცხული გასამრჯელო, მ.შ: მათზე გაცემული მატერიალური დახმარებები-ხელფასთან გათანაბრებული განაცემები.
- მოკლევადიან სამუშაოებზე (დასუფთავება, მიმდინარე რემონტი და სხვა) ერთჯერადი ხელშეკრულებებით აყვანილ პირებზე დარიცხული გასამრჯელო.
- ყოფილი საწარმოს მუშებზე გაცემული განაცემები, რომლებმაც მიიღეს სხვადასხვა საწარმოო ტრამვები და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დაენიშნად საწარმოო ტრამვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო. (შენიშვნა: აღნიშნული განაცემი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად ითვლება).

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

*დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი*

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| *შრომის ანაზღაურება* | 44667 | 43602 |
| *ფ.პ. ერთჯერადი ხელშეკრულებეით გაწეულ მომსახურებაზე გაცემული ანაზღაურება* | 1100 | 8101 |
| *დახმარება-ხელფასთან გათანაბრებული განაცემი* | 0 | 1363 |
| *დასახიჩრების ზიანის ანაზღაურება (ხელფასთან გათანაბრებული განაცემი)* | 8258 | 9546 |
| სულ | **54025** | **62611** |

## შენიშვნა 10. შეძენილი მომსახურების ხარჯები

შეძენილი მომსახურების ხარჯები მოიცავს სააქციო საზოგადოების მიერ გარე მომსახურებაზე გადახდილ ხარჯებს:

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| *საჯარო რესსტრის ეროვ.სააგენტიოს მომსახურების ხარჯები* | 26 | 1905 |
| *აუდიტორული მომსახურების ხარჯები* | 6726 | 1000 |
| *საბუღალტრო მომსახურება* | 10500 | |
| *საკონსულტაციო მომსახურება* | 992 | |
| *იურიდიული მომსახურების ხარჯები* | 2500 | 85 |
| *სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურება* | 100 | |
| *შსს სსიპ„112" მომსახურების ხარჯები* | 6 | |
| *მასმედიის ხარჯები(განცხადების გამოქვეყნება)* | 20 | 20 |
| *სანოტარო მომსახურების ხარჯები* | 500 | 1426 |
| *აქციათა რეესტრის მომსახურების ხარჯები* | 816 | 900 |
| *კომპიუტერული მომსახურების ხარჯები* | 22 | |
| *აზომვითი ნახაზის მომსახურების ხარჯები* | | 250 |
| დაცვის მომსახურების ხარჯები | 897 | 1314 |
| საპროექტო მომსახურების ხარჯები | | 4930 |
| *ბანკის მომსახურების ხარჯები* | 119 | 2000 |
| *მიმდინარე რემონტის ხარჯები-მომსახ* | 1200 | 5315 |
| *კომუნიკაციის ხარჯები* | 504 | 439 |
| *წყლის ხარჯი* | 183 | |
| ტექნიკის იჯარა | | 127 |
| საფოსტო გზავნილის ხარჯები | 8 | |
| სულ | **25121** | **19711** |

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

## შენიშვნა 11. საგადასახადო ხარჯი

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| ქონების გადასახადი | 13076 | 16637 |
| მიწის გადასახადი | 15615 | 15015 |
| სულ | **28691** | **31652** |

## შენიშვნა 12. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცას სხვა საოპერაცო და არასაოპერაციო ხარჯებს:

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| *საოფისე ინვენტარის ხარჯები(მ.შ:საკანცელარიო ხარჯები)* | 364 | 425 |
| *სამეურნეო ინვენტარის ხარჯები* | 123 | |
| *ბეჭვდვა, აკინძვა, ქსეროასლების ხარჯები* | | 144 |
| სსიპ შემოსავ. სამ(გირავნობის მოხსნა) | | 100 |
| მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი | | 41 |
| სსიპ არქიტექტურის სამსახური | | 800 |
| *საქველმოქმედო შეწირულობის ხარჯები* | 800 | 1000 |
| *შენობა-ნაგებობის ნაწილის ლიკიდაციის(დემონტაჟის) ხარჯი* | | 2527 |
| *უიმედო ვალის ჩამოწერა* | 25957 | |
| *საგადასახადო ჯარიმა,საურავი* | 1418 | 3111 |
| სულ | **28662** | **8149** |

## შენიშვნა 13. ფინანსური დანახარჯები

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| *სესხის საპროცენტო ხარჯი* | 31494 | 14807 |
| სულ ფინანსური დანახარჯები | **31494** | **14807** |

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: /დავით პაპუნაშვილი/

დირექტორი: /გიორგი ქართველიშვილი/

**შენიშვნა 14. მოგების გადასახადის ხარჯი**

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადს სს „ბამბის ნართი" იხდის 15 პროცენტის ოდენობით.

***მოგების გადასახადის ხარჯი***

| დასახელება | 31.12.12 | 31.12.11 |
|---|---|---|
| მოგება დაბეგვრამდე | 3994 | -6830 |
| *საგადასახადო კორექტირება(სალდო)* | *21369* | *3410* |
| დასაბეგრი მოგება (საგადასახადო) | 25363 | -3420 |
| მოგების გადასახადი(სსკ) | -3804 | 0 |
| მიმდინარე მ/გ ხარჯის ზრდა(გადავადებული აქტივის გამოყენება) | -1181 | 0 |
| მიმდინარე მ/გ ხარჯის შემცირება (გადავადებული აქტივის აღიარება) | 170 | 618 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -4814 | 618 |

საგადასახადო კორექტირება გაუკეთდა შემოსავლებს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად(ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული ამონაგებს), აგრეთვე ხარჯებს, რომლებიც საგადასახადო კოდექსის თანახმად არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი(და ვალდებულება) აღიარდება მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობისაც სავარაუდოდ იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის წინააღმდეგაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივი (და ვალდებულება) იანგარიშება საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც სავარაუდოდ იარსებებს იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოხდება აქტივის გამოყენება.

მოგების გადასახადის ხარჯი ტოლია სხავობისა მიმდინარე მოგების გადასახადსა და გადავადებული საგადასახადო აქტივს(შემოსავლს) შორის. ის სხვაობები რომელთა აქტივისა და ვალდებულებების ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება მისი თავდაპირველი საგადასახადო ბაზისაგან, არის მუდმივი და მისი გადავადება არ ხდება.

| | |
|---|---|
| სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: | /დავით პაპუნაშვილი/ |
| დირექტორი: | /გიორგი ქართველიშვილი/ |

საკონსულტაციო ჯგუფი
ალექსანდრე

ღამბაშიძის №8, თბილისი 0179, საქართველო
ტელ/ფაქსი: (995 32) 244 00 04,
ელ-ფოსტა: contact@alexandre.ge
www. alexandre.ge

# აუდიტორული დასკვნა

| | |
|---|---|
| ვის | სს „ბამბის ნართი"-ს ხელმძღვანელობას |

ჩავატარეთ **სს „ბამბის ნართი"**-ს მიერ მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ბუღალტრულ ბალანსს, ამავე თარიღით დასრულებულ წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელიც აუცილებლად მიიჩნევა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, პასუხისმგებელია **სს „ბამბის ნართი"**-ს ხელმძღვანელობა. ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს **სს „ბამბის ნართი"**-ს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

| | |
|---|---|
| თარიღი: | 1 მაისი, 2013წ. |
| მისამართი: | საქართველო, თბილისი, 0179, ღამბაშიძის 8 |
| ელფოსტა: | contact@alexandre.ge   www.alexandre.ge |
| ტელეფონი: | (995 32) 244 00 04 |
| ტელეფაქსი: | (995 32) 244 00 04 |

ვიაჩესლავ ბურაძე
პრეზიდენტი, პარტნიორი